პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გიორგი კვინიტაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გიორგი კვინიტაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, გიორგი კვინიტაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო ჩიხს მიენიჭოს გიორგი კვინიტაძის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X 478001 Y 4610865
X 478147 Y 4610733
X 478006 Y 4610728
გიორგი კვინიტაძის I ჩიხი

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

08 / ოქტომბერი / 2024 წ. 06-032 42832-03

KA011746749773624

№ **227436**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ბადრი ხარიტონაშვილს
მის.: ქალაქი თბილისი, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩა, N 34, ბინა 4

გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) 2024 წლის 2 ოქტომბერს წარედგინა ბადრი ხარიტონაშვილის (პ/ნ: 01017004807) M24016569 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნუმერაციის წარმოშობა - უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით: 81.02.30.027.

საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისას დადგინდა, რომ სააგენტოს მიერ წარმოებულ სამისამართო რეესტრში აღრიცხულია გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდებით: „ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, გიორგი კვინიტაძის I შესახვევი“ (აღრიცხული მონაცემების ამსახველი სიტუაციური ნახაზი იხილეთ დანართის სახით). გეოგრაფიული ობიექტის სახელდების სამართლებრივი აქტი - ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის N62 დადგენილება.

ამასთან, სამისამართო რეესტრში აღრიცხული გიორგი კვინიტაძის I შესახვევის მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ რამდენიმე ნაკვეთს. სააგენტოს არქივში ვერ იქნა მოძიებული დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული ობიექტის მოხაზულობის სისწორის გადამოწმება.

განმცხადებლის ინტერესების დაკმაყოფილებისა და სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ხარისხის მართვის მიზნით, გთხოვთ, უმოკლეს ვადაში მოგვაწოდოთ დაზუსტებული ინფორმაცია ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სივრცითი მოხაზულობის თაობაზე.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032430519**
თარიღი: **31/10/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2024 წლის 09 ოქტომბრის საქმე #06-03242832-03 დაკავშირებით, რომლითაც ბადრი ხარიტონაშვილის M24016569 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება (ს.კ.81.02.30.027).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243102716**
თარიღი: **05/11/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

17-01243/052-03

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 31.10.2024 წლის #03-032430519 (23.10.2024 წ. #14-01243051972-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი